# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 294. | კვირა, 27 თებერვალი 1905 წ. | გაზეთის № 2756.



**გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი**

ახლად დანიშნული კავკასიის ნამესტნიკად.

# ს ა ლ დ ა თ ი

(სურათი გურულ მუშების ცხოვრებიდან)

[illegible]თახში [illegible]-და-თახ ჩამობნე[illegible]. ფატიმ აანთო [illegible]წია ლამპა, მიიწია პატარა სკამი, ჩამოჯდა ძმის ფეხებთან, ასწია იმისი ხელი, მიიდვა შუბლზე, მერმე აკოცა, დაუდვა მუხლზე და დაუწყო ფერება. გიორგიმ შეხედა, გაუცინა და ჰკითხა:

— სამსონ არ მოსულა?

— არა. შაბათ საღამოს ყოველთვის ადრე იცოდა მოსვლა და არ ვიცი, რეიზა დააგვიანდა.

— ახლა რომ გამევიარე აუარებელი მუშები დევინახე ზავოდთან თავმოყრილი. სამსონც იქინეი იქნება.—სთქვა ბართლომემ.

— ვაიმე, ხომ აფერი მომხთარა?—იკითხა შემკრთალმა ფატიმ და წამოდგა,—ყოლიკაცს იჭირავენო ჩივიან... წავალ საცხა.—მან აიღო შალი.

— მეიცაი, სად უნდა წახვიდე? მეც წამოგყობი,—უთხრა გიორგიმ და ადგა, მაგრამ სწორედ ამ დროს აივანზე მოისმა ფეხის ხმა. ყველანი გამხიარულდნენ. გიორგიმ სწრაფად გაალო კარი, მაგრამ ოთახში შემოვიდა სხვა. ეს იყო მაღალი, მხარ-ბეჭიანი, მხიარული—ცოცხალი შესახედაობის ვაჟკაცი, სახეზე რაღაც მოუსვენრობა ეტყობოდა. ტანზე ნაცრის ფერი ღვედით გადაკრული პერანგი ეცვა

— რა ამბავია, ტარიელ? სამსონ სადაა?—შესძახა მას ფატიმ შემოსვლისითანავე.

— ახლავე მუა, ახლავე. ბართლომესან წევიდა და ბართლომე კი აგერ ყოფილა.—გაიცინა ტარიელმა.

— ჩემსას? წავალ, კაცო, აბა, საქმე აქ რამე?—ბართლომე წამოიწია ასადგომად.

— არა, უკეთესია აქანაი მეიცადე, ბართლომე, საქმე გვაქ მოსალაპარიკებელი და გზაში არ შეგცილდეს,—უთხრა მას ტარიელმა, რაღაც მოუსვენრად, ზიზღით გადახედა გიორგის და მივიდა კაკისთან.

— გიტარა, დაიავ? დუუკარი, აბა, ერთი ვიმღეროთ. ლაპარაკისაგან ცოტა არ იყოს, შემკრთალი კაკი კურდღელივით იყურებოდა იქით-აქეთ; ტარიელის სიტყვებზე უცებ გამოცოცხლდა, გააქნია ხუჭუჭა თავი, ლურჯი თვალები გაუშუქდა და ალტაცებით მიაპყრო სიცოცხლითა და გაბედულებით სავსე მუშას, მაგრამ მაშინვე მიიხედა საქმროსაკენ, გაწითლდა და აჩქარებით დაჰკრა თითები სიმებს.



**სულთან-კრიმ-გირეი,**

მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი, რომელიც გურიაში იკვლევს მკვიდრთა საჭიროებას.

— ახალი სიმღერა ვიცი, ახალი!—შესძახა მან და წკრიალა ხმით დაიწყო:

*) იხ. „დამატება“, № 293.



**ვას. ალ. სოკოლოვი,**

მთავარ-მართებლის კანცელარიის საქმის მწარმოებელი.

სიყვარულმა ფრთა გაშალა,
ტურფავ, შენკენ გამოფრინდა
ჩემი გული მოგიტანა
გქონდეს, გქონდეს, თუ კი გინდა!
ჩემი ფიქრი და გონება
შენთან არის გემონება.
ვით პეპელა მინდვრის ყვავილს,
დაგხარის და თავს გევლება.
და არ მინდა მე ამ ქვეყნად
არც სიმდიდრე, არც დიდება.
მინდა მხოლოდ განუყრელად
შენთან ყოფნა, შენი ხლება!

გაწითლებული, კმაყოფილი გიორგი აჩქარებითა და სიამოვნებით სუნთქავდა, ის გრძნობდა, რომ ეს სიმღერა მას ეკუთვნოდა და უხაროდა და უნდოდა, რომ მის საცოლოს სრულიად არ შეეხედა არავისთვის და ნამეტნავად ახალგაზრდა მუშისათვის. ვითომ შემთხვევით ის ხან ჩადგებოდა კაკისა და ტარიელს შუა, ხან ხელს ასწევდა და იცინოდა ხმა მაღლა. ტარიელი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა არაფერს. ის აღტაცებით შესცქეროდა მომღერალ ქალს, თანაც გიტრის ტაქტზე ჩუმად აბაკუნებდა ფეხებს და ხელების ქნევით, მიმიკით და ხანდისხან ნელის სიმღერითაც ბანს აძლევდა ჰარმონიულსა და გრძნობით სავსე სიმღერას-

— ოჰ,— შესძახა მან, როცა შესწვიტა ქალმა სიმღერა და ლურჯი თვალები მოლოდინით შეაჩერა იმის მამაც სახეზე.— აგი ხომ ამ მუწუკისთვის იმღერე,— ტარიელმა გადახედა სალდათს.— ახლა ჩვენთვის, ჩვენდა ვიმღეროთ დაიავ, ხომ იცი ძმა-ბიჭური... მუშური... ოჰო, გეწყინა, თითს მიქნევ?.. აი, აი, აი... გიორგი, ბიჭო, მუწუკი ხარ ხომ, ჩვენ გულზე და ზურგზე ამოსული მუწუკი!.. აბა ერთი შენებურათ, კაკი, „დაჰკარ ხელი გიტარასა"... ოჰო, სამსონავ, ძმაო, ჯერ ერთი შამოვსძახოთ, თუ ძმა ხარ, ლაპარაკი მერე იყოს ძმავ; სულ ერთია სიკვტილი არცაროის არ დეიგვიანებს ჩვენდა.

— ოჰ, რაფერი ხარ, ტარიელ, რაცხა უცნაურად ლაპარიკობ ამ საღამოს,— უთხრა მას ფატიმ და შემკრთალი მივიდა ქმართან. სამსონ ისიც იყო შემოვიდა და მოიხადა ქუდი.

— არა, დაიავ, ფატი, ნუ გამიწყლები. შენს უკეთესი არაკაცი მყავს ქვეყანაზე. შენ ჩემი დაი ხარ, საყვარელი დაი. ღმერთს შენს მეტი ნუგეში ჩემდა არ მუუცემია...— ხმა როგორლაც შეუთრთოლდა მას, ის სწრაფად დაიხარა და აკოცა ფატის მხარზე, რომელიც გაფითრებული ეკვროდა ქმარს.

— კაი, კაცო, ერთი, ნუ გადარევ ყველას!.. უთხარი რამე?— დაეკითხა მას სამსონ.

— რა ამბავია, რა ამბავი?— მოისმა იქით-აქედან დაკითხვა.

კაკი სწრაფად წამოხტა და დააშტერდა მამას.

— რა დროის ამბავია კაცო! მეიცაი, მეიცაი, შენი ჭირიმე, სამსონ. ერთი... ერთი... სიმღერის ქეიფზე ვარ... ვიწყებ, დევიწყებ, აბა გიტარა...— ის წაიწია წინ, გასწორდა წელში გადახარა თავი და შემოსძახა:

ხომ ხედავთ, რომ კლდის ძირიდან
ამოხეთქა წმინდა წყარომ...

ის მღეროდა, როგორლაც თავდავიწყებით, თითქოს არაფერს აღარ ამჩნევდა ირგვლივ. თითქოს წმინდა, გრძნობიერმა ხმამ ისეთივე სიმძლავრით და ტანჯვით ამოხეთქა იმის გულიდან, როგორადაც იმ ანკარა წყარომ ქვის ნაპრალიდან, რომელსაც ის უმღეროდა. მის ხმაში კვნესა-ტირილი ისმოდა, თუმცა სიმღერა ფრთა შესხმული იმედი იყო და მოგვითხრობდა, რომ რაკი ერთხელ ამოხეთქა წყარომ მიწის გულიდან, იმის მდინარებას ველარაფერი შეაჩერებს: რამდენიც არ სჭიჭყნონ ცხოველებმა ტალახიანის ფეხით, რამდენიც არ შეაგუბონ ბიჭ-ბუჭებმა, რამდენიც არ გაიყვანონ ადამიანებმა არხებში წისქვილების საბრუნებლად, წყარო მაინც მდინარედ იქცევა, ბოლოს მაინც გაიგნებს გზას, შეერთვის ზღვას და ზღვად გადაქცეულს მის აღქაფებულ, მრისხანე ზვირთებს ვინლა გაბედავს, რომ წინ დაუდგეს, ვინ შეაკავებს!..

ყველანი სდუმდნენ. რაღაც უცნაურის იმედით და ტანჯვით გატაცებული შესცქეროდნენ მომღერალს. კაკიმ დიდიხანია დაანება გიტარის დაკვრას თავი და დროთი-დრო თრთოდა. ორი მსხვილი ცრემლი ჩამოჰკიდებოდა ქუთუთოებზე. ტარიელმა შეხედა მას და უცებ შესწყვიტა სიმღერა. ერთხანს სიჩუმე იყო. ბართლომემ ნელა მიიწია შვილისაკენ, გა-



გურია.— გურული

დაუსვა ხელი ბეჭებზე ნელა გაიცინა და თავისებურის მშვიდობიანის ხმით მიმართა ტარიელს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალიანი ბიჭი ხარ, ტარიელ და რეიზა ცოლს არ ირთავ კაცო?



**აჭარა.**—პატარა ციცა (ქალი).

მძიმე სულიერი მდგომარეობა უცებ დაირღვა, თითქოს ყველა ამ სიტყვებს ელოდა და ყველამ გულიანად გაიხარხარა. ყველაზე მეტს ხარხარებდა ტარიელ.

— შენ გაცოცხლა ღმერთმა ბართლომე, გამაცინე კაცო. მე და ცოლის შერთვა?! რა ჭკუაში მოგივიდა ძმავ? ცოლი, ა, ამისთანა კაცმა უნდა შეირთოს,—ტარიელმა გადახედა გიორგის,—ოთხ წელიწადს ქვეყნიზა მუწუკია, მერე წავა სოფელში და თავის მიწა-წყალზე დასახლება ლამაზი ცოლით. მე და ცოლის შერთვა? მერე?!. რაის პატრონი... ჰმ... უსახლ-კარო კაცი და ცოლ-შვილი?! ჩემი ცოლი სატუსაღოა, ან ეგება ამის ტყვიამაც კი გამიწიოს ხვალ დილას ცოლობა კაკალ გულში.

— ტარიელ, რაცხა კი მოხდა.—სთქვა კაკიმ და სწრაფად წამოდგა. გიტარა გადმოვარდა მუხლებიდან და ხმაურობით დავარდა ძირს, მაგრამ ქალი არ შეჩერებულა. ის მივიდა ტარიელთან, დაადვა მხარზე ხელი და თანაგრძობით მთრთოლვარე ხმით განაგრძო,—ტარიელ, რაცხა ამბავი კია, თვარა შენ და ამისანაი ლაპარაკი?..

ტარიელ მოწყვეტით დაეცა სკამზე, თითქოს იმის განიერ მხრისათვის მძიმე იყო ეს პაწია, მაგრამ მუშაობას შეჩვეული ხელი; ის როგორღაც მოიხარა ბეჭებში და შეშინებული თვალები ვედრებით და სასოწარკვეთილებით მიაპყრო ქალს. კაკი ერთ წამს შესდგა, გაფითრდა და გადაიწია უკან. ის ყველაფერს მიხვდა... ნელა მობრუნდა და წავიდა ფანჯრისაკენ, მაგრამ საჩქაროდ ისევ მოტრიალდა და თავის საქმროს გვერდით ტახტზე ჩამოჯდა. გიორგი თავჩაღუნული, გაწითლებული დასცქეროდა თავის გაკუპრულ ჩექმებს.

— აბა, საქმეს შეუდგეთ ახლა,—სთქვა სამსონმა. ის იყო შუატანის წაბლის ფერ წვერულვაშიანი, გამხდარი, მაგრამ საოცარი მტკიცე გამომეტყველების სახის კაცი,—ბართლომე, ერთი საქმე გვაქ... ფატი, რაცხა მაჭამე, მშიერი ვარ,—მიმართა მან ცოლს და ისევ განაგრძო,—საქმე იმაშია, რომ ხვალ უნდა... აქანაი ყველაი ჩვენია—შევიკრიბოთ უნდა სატუსაღოსთან და დაჭერილი ამხანაგების განთავისუფლება უნდა მევითხუოთ. ზეგ იალონზე აგზანიანო, ამბობენ და რამე უნდა მივეხმაროთ. ახლა აბა საქმე იმაშია, რომ ერთმოცმა კაცმა უნდა მევიყაროთ თავი ამაღამ საცხა მოსალაპარაკებლად და გვინდა, შენსას შევიკრიბოდ, რომ გევიკლიოთ ხვალინდელი დღეის მოქმედება. აბა, ტარიელ, ახლა თქვენ ილაპარაკეთ, მე დევიხეფსებ პაწას.

— ყველაი აი კაია, მარა ამ შეიარაღებულ ჯარს რაფერ უნდა გუუწიოთ წინააღმდეგობა, მართლა, რომ ღმერთი გუუწყლეს და სროლა დაგიწყონ?—სთქვა ბართლომემ.

— საქმეც მაგაშია, ბართლომე, რომ საითაც სიმართლეა იქით უიარაღოთაც ძალაა, მარა იგიც კია სათქმელი, ეგება არც გვესროლონ უიარაღო ხალხს...

— არა, ამის იმედი არ უნდა გვქონდეს, არ გვესრიანო,—სთქვა დაფიქრებით და გადაწყვეტით სამსონმა, მაგრამ უცებ წამოხტა და განაგრძო,—ყორიფელზე მზათ უნდა ვიყოთ. ძალა აღარაა, მოთმენა გაწყტა... ძაღლსავით სიცოცხლეს, იგი ჯობს, რომ არ იყოს კაცი... შენდა არც სამართალი, არც ერთი, არც მეორე... ერთი მითხარი, რეიზა ვარ მე აქანაი, რეიზა ვანხალებ თავს ამ გაფხეკილ კედლებს. მაშინის ღრიანცელმა გამომაყრუა. კაცის ფერი აღარ მაქ და ხორცი გამომაწყვდიო უნდა ცოლ-შვილი ნაქირავებ სახლში... ჰმ, სახლი მეთქი, სახლი თუ იყოს კაია. საღორეს უკეთეს აკეთებენ ახლა ათასჯელ ჩემს უარს მდგომარეობაში რამდონია... სულს გვხდიან და ამაზე უარესი იქნება?.. არ გვესვრიან! არ გესვრიან კი არა გესვრიან, მარა მაინც უნდა წევიდეთ! შევატყობიოთ უნდა ქვეყანას, რომ თლა პირუტყვები არ ვართ, რომ ჩვენც გვინდა სინათლე, სიცოცხლე! ჩვენც გვინდა და გვიყვარს



**აჭარა.**—სახლი.



**გურია.**—ბახმაროს მიდამო.

ცოლშვილი, ოჯახი... ჩვენ შვილებს მაინც ავაცდინოთ ჩვენი დღეი... შორ ნუ წავალთ ეგერ ნიკოიეი რომ დეიჭირეს და

აგზანიან,. რეიზა დეიჭირეს და რეიზა აგზანიან, მე შენ გეკითხები?.. რეიზა დეიყვირა მშია და მცემენო?.. რა უნდა ქნას იმის ცოლმა და ხუთმა თავმონაწიერმა ბალნებმა, თვალ დაფსებულმა დედა მისმა?.. მგონია დაიც ყავს კიდო, ფატი, შენ არ იცი..—სამსონ ალევებული, თავდავიწყებით, გატაცებული ლაპარაკობდა. თვალები ცეცხლივით უელავდა და მრთელი, სახე გაბედულობით და რისხვით უთრთოდა. უკანასკნელ სიტყვებზე პან შეხედე ფატის, იმის გიშრის თვალები განსაკუთრებულის ალტაცებით შესცქეროდა ქმარს და სამსონის გულს თბილად მოხვდ ეს ალტაცების სხივები. ბედნიერებამ გაუშუქა სახე სამსონსც. ერთ წუთს, თითქოს მას უნდოდა, ისეთივე თავდავიწყებით და გატაცებით მივარდნოდა და მოხვევხოდა ცოლს როორცდაც ამ ერთი წუთის წინ ლაპარაკობდა, მაგრამ მაშინვე თავი შეიკავა გაიცინა, და საჩქაროდ მიუჯდა თავის ერთობ მსუბუქ ვახშამს.

ყველამ გაიღიმა.

— ეხ,—სთქვა ტარიელმა ჯაშუშობა რომ არ იყოს და უფრო მჭიდრო ერთობა გვქონდეს, სხვაი აფერი გვინდოდა, მარა მაგიც მალე იქნება, ნუ გეშინია, შეიგნებენ!..

— ტარიელ. კაცო, შენი იგია კაი, რომ ყოველთვის ყორიფელი კაის იმედი გაქ. მეც ასე ვჩივი, კაცო, მარა ამ სალდათებს რომ შევხედავ, აი ჩემი იმედი საცხა ქე გამიშპება, გამეპარება კაცო.— ბართლომე კეთილის ღიმილით ელაპარაკებოდა ტარიელს, რომელიც თითქოს არაფერი მომხვდარაო, სრულიად დამშვიდებული, საქმიანის სახით იჯდა და ყურადღებით უსმენდა მას ლაპარაკს.— გუშხამ ამ ჩემ სამოყვრო კაცსაც უჩივოდი,—განაგრძო ბართლომემ,—რა იქნება, კაცო! რომ არ ესროლოთ მეთქი?..

— არ ესროლოთ. ადვილი სათქმელია,—გააწყვეტინა გიორგიმ მას ლაპარაკი,—არ ესრი და გიჩვენებენ შენ სეირს... ვაიმე!.—დაიძახა მან და წამოხტა.

— რა ამბავია, კაცო, რაი?

— ზორი დაჰკრეს და დამაგვიანდა,-მიუგო მან, სწრაფად ჩაიცვა ფარაჯა, გამოემშვიდობა ყველას და გავარდა გარედ, მაგრამ ისევ შემოყო თავი კარებში და სთქვა:-ხვალ მუალ აქანაი.—და მიიმალა. საცოლომ და დამ სიყვარულის ღიმილით გააყოლეს თვალები.

ტარიელმა ოდნავის აღელვებით გაიარ-გამოიარა ოთახში და მიმართა სამსონს:

— აბა, ჩვენც წევიდეთ სამსონ, შენ, ბართლომე წამოხვალ?

— კი, კი, კაცო, რავა არა. ჩემი გოგოლიეი შენთან იქნება, ჩემო ფატი, ამალამ, ხვალ დილას მოცუნცულდი, ბაბავ, შინ.

— არა, ბაბავ, ხვალ ჩვენც წავალთ მუშებთან ერთად,— მიუგო კაკიმ მამას და დაეკითხა ფატის — ხომ წევიდეთ ფატი?

— ეე, რა თქვენი საქმეა ახლა იქინეი. ქალებს რაღა გინდებიან,-გაიღიმა ბართლომემ.



დიდი მწერალთა.

— დასურ არ იქნება, სამსონ, წამოსვლა?--ჰკითხა ფატიმ ქმარს.

— ოჰ, ბართლომეს უყურებ, რეიზა არ იქნება წამოდით აბარა. რავა ჩვენი საქმე და თქვენი რამ გაარიგა.

— აბა, გამოგიარ ხვალ დილას ეა ერთად წევიდეთ,--სთქვა მხიარულად, დამშვიდებულმა ბართლომემ.

ნ. ნაკაშიძე.

(დასასრული იქნება).



მთხოვნელს—ეძლევა.



— როგორ იქეიფეთ ჯამაგირის მიღების შემდეგ?

— მშვენივრად, კარგად დავთვერით. ანდრიას ჩხუბში ყური მოაგლიჯეს, ივანე არხში ჩავარდა და ფეხი მოიტეხა, მე „უჩასტკაში" გავათენე.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადარი

Доз. ценз. Тифлисъ, 25 февраля 1905 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—სა.